

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიხეილ კუტიბაშვილის  
ანგარიში ერთი წლის გაწეული მუშაობის შესახებ

2021 წლის 3 დეკემბრიდან ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,  
საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე და საკრებულოს ეკონომიკისა  
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის წევრი.

წლის საანგარიშო პერიოდში ჩატარეთ 11 ფრაქციის სხდომა სადაც განხილული იყო 19  
საკითხი. დავესწარი საკრებულოს ყველა სხდომას და კომისიის სხდომებს, სადაც  
აქტიურად ვაფიქსირებდი საკუთარ პოზიციას. წნორში განხორციელდა და  
მიმდინარეობს პროექტები რომელშიც აქტიურად ვარ ჩართული

#### კერძოდ:

მიმდინარე წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა, მოასფალტდა და მოეწყო სანიაღვრე  
სისტემა ფიროსმანის, სიღნაღის, მეგობრობის, თამარ მეფის, სააკაძის, არსენას და  
ჭავჭავაძის ქუჩაზე. ასევე მოასფალტდა აღმაშენებლის მე-3 შესახვევი და ჭავჭავაძის  
ქუჩის ჩიხები და შესახვევები.

უნივერსიტეტის ქუჩაზე ბროწლიანის დასახლებაში მოეწყო სპორტული მოედანი, ასევე  
რეაბილიტაცია ჩაუტარდა ამავე ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზიანებულ კორპუსის ჭერს.  
ევდოშვილის ქუჩაზე აქტიურად მიმდინარეობს კულტურის და დასვენების პარკის  
მშენებლობა. ასევე სპორტ. კომპლექსის მშენებლობა, ორივე პროექტი დასრულდება და  
ექსპლუატაციაში შევა მომავალი წლიდან.

მიმდინარეობს მე-3 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაემატა გარე განათება ბარათაშვილის,  
გორგასლის, ახმეტელის, რუსთაველის, აღმაშენებლის, ჭავჭავაძის და თავისუფლების  
ჩიხებსა და შესახვევებში.

სოციალურად დაუცველთა დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა  
პოზიციაზე დავასაქმეთ 38 ბენეფიციარი.

ქ. წნორში არსებული უფასო სასადილო წლების განმავლობაში იყო სხვადასხვა  
ლოკაციაზე ქირით და არასათანადო პირობებით. ამჟამად თავისუფლების ქუჩაზე  
მიმდინარეობს შენობის რეაბილიტაცია, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერის მალხაზ  
ბეგიაშვილის ინიციატივით და საკრებულოს მხარდაჭერით, რომელიც გადმოეცა

მუნიციპალიტეტს ეკონომიკის სამინისტროდან და სადაც განთავსდება უფასო სასადილო ყველა შესაბამისი სტანდარტების დაცვით.

მადლობას გიხდით ჩემდამი ნდობისთვის და ვეცდები დარჩენილ სამ წელში ერთობლივი მუშაობით კიდევ მეტი გავაკეთოთ. დამეთანხმებით ასეთი დიდი მოცულობის პროექტები წნორში არ განხორციელებულა.

მიხეილ კუტიბაშვილი